აქციის "მარეტი:გემრიელი გზა პრიზისკენ" ჩატარებისა და მასში მონაწილეობის მიღების წესები

1. ზოგადი დებულებანი

1.1 აქციის ორგანიზატორია შპს კრეატივ 141 (შემდგომში – აქციის ორგანიზატორი), შპს „ორბიტა"-ს დაკვეთით (შემდგომში – აქციის დამკვეთი).
1.2 აქციის დასახელება: «მარეტი:გემრიელი გზა პრიზისკენ» (შემდგომში – „აქცია").
1.3 აქციის ჩატარების ტერიტორია – საქართველო, აქცია მოქმედებს საქართველოს

"Spar"-ის, "კაღათა"-ს, "მაგნიტი"-ს, "Daily"-ს, "იოდი"-ს, "Gvirila"-ს, ყველა სავაჭრო ობიექტში, რომელიც გასცემს დეტალურ საღარო ქვითარს შეძენილი პროდუქტების შემთხვევაში.

1.4 აქციის ჩატარების საერთო ვადა – 2026 წლის 1 ივნისიდან 2026 წლის 31 ივლისის ჩათვლით (შემდგომში – „აქციის ჩატარების პერიოდი").

«Maretti»-ს, აქციაში მონაწილეობის მიღება შესაძლებელია ქ.თბილისის დროით, 2026 წლის 01 ივნისის 00 სთ. 00 წთ.-დან, 2025 წლის 31 ივლისის 23 სთ. და 59 წთ.-მდე ქ.თბილისის დროით (ორივე თარიღის ჩათვლით) (შემდგომში – „აქციაში მონაწილეობის მიღების პერიოდი").
1.5 აქციის ოფიციალური წესები (შემდგომში – წესები) გამოქვეყნებულია ვებ-საიტზე www.marettipromo.ge (შემდგომში – აქციის გვერდი).

2.სააქციო პროდუქტის დასახელება, რომლის რეალიზაციის სტიმულირებისათვის ხორციელდება აქცია:

2.1 აქცია ეხება სავაჭრო ნიშნის «Maretti®» ბრუსკეტის ჩიფსებს, კერძოდ კი:

- Maretti® შეფუთვაში წონით ნეტო 70 გ;
- Maretti® შეფუთვაში წონით ნეტო 140 გ;

2.2 აქცია ვრცელდება საქართველოს მასშტაბით "Spar"-ის, "კაღათა"-ს, "მაგნიტი"-ს, "Daily"-ს, "იოდი"-ს, "Gvirila"-ს, ყველა სავაჭრო ობიექტებში.
სავაჭრო ობიექტების სრული სია მისამართების ჩათვლით იხილეთ, ვებ-საიტზე www.marettipromo.ge

3.პირობები, რომელთა დაცვის შემთხვევაში ფიზიკურ პირს შესაძლებლობა ექნება გახდეს აქციის მონაწილე:

3.1 მონაწილე – პირი, რომელიც შეესაბამება წესების მოთხოვნებს და რომელმაც 2026 წლის 01 ივნისის 00 სთ. 00 წთ. 2026 წლის 31 ივლისის 23 სთ. და 59 წთ-მდე (თბილისის დროით), აქციის განმავლობაში შეიძინა სააქციო პროდუქტი და შეასრულა ყველა ის მოთხოვნა, რომელიც საჭიროა აქციაში მონაწილეობის მისაღებად.
3.2 აქციაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქეები და საქართველოს ბინადრობის მოწმობის მქონე პირები, აქციის ჩატარების პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები პირები, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც აქციის ჩატარების მომენტისათვის შეუსრულდათ 14 (თოთხმეტი) წელი (შემდგომში – აქციის მონაწილე).
საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებულ არასრულწლოვნებს (14-დან 18 წლამდე), რომელთა მშობლებიც არიან საქართველოს მოქალაქეები ან საქართველოს ბინადრობის ნებართვის მქონე პირები, აქციაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ ერთ-ერთი მშობლის თანხმობის შემთხვევაში.
3.3 აქციაში მონაწილეობის მისაღებად არ დაიშვებიან: აქციის დამკვეთთან ან აქციის ორგანიზატორთან დასაქმებული პირები, მათი ოჯახის წევრები, პირები, რომლებიც წარმოადგენენ აქციის დამკვეთის/ორგანიზატორის ინტერესებს, პირები, რომლებიც დადგენილი წესით აღიარებულნი არიან აქციის დამკვეთის/ორგანიზატორის აფილირებულ პირებად, იმ მესამე პირთა მუშაკები და წარმომადგენლები, რომლებსაც აქციის ორგანიზატორთან აქვთ დადგენილი სამოქალაქო-სამართლებრივი ან სხვა ურთიერთობები და დაკავშირებულნი არიან ორგანიზაციასთან და/ან აქციის ჩატარებასთან, ასევე მათი ოჯახის წევრები.

3.4 აქციაში მონაწილეობით აქციის მონაწილე ადასტურებს წინამდებარე წესების გაცნობას და აცხადებს სრულ თანხმობას ამ წესების შესრულებასთან დაკავშირებით და საკუთარ თავზე იღებს ვალდებულებას მათი ყველა პირობისა და მოთხოვნის დაცვაზე.

3.5 აქციაში მონაწილეობის ფაქტი ნიშნავს, რომ აქციის მონაწილეები ეთანხმებიან იმას, რომ აქციის ორგანიზატორს აქვს უფლება გამოიყენოს მათი სახელი და გვარი, ფოტოები, ვიდეო-აუდიო და სხვა მასალები, მათ შესახებ ნებისმიერ სარეკლამო და (ან) საინფორმაციო მასალებში, რომლებიც დაკავშირებული იქნება აქციის ჩატარებასთან, აქციის მონაწილეებისათვის რაიმე ანაზღაურების გადახდის გარეშე. აქციის გამარჯვებულები აცხადებენ თანხმობას ინტერვიუზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და გადაღებაზე სარეკლამო მასალებისთვის, რომლებიც მომზადებული იქნება აქციის ჩატარებასთან დაკავშირებით, მისთვის რაიმე ანაზღაურების გადახდის გარეშე. ყველა უფლება ასეთ სარეკლამო მასალებზე ეკუთვნის აქციის დამკვეთს.

4.იმისთვის, რომ გახდეთ აქციის მონაწილე და გქონდეთ შესაძლებლობა მიიღოთ პრიზი, უნდა შეასრულოთ შემდეგი:

4.1 2026 წლის 01 ივნისის 00 სთ. 00 წთ.–დან 31 ივლისის 23სთ და 59 წთ–მდე (თბილისის დროით) შეიძინოთ „Spar"–ის, "კაღათა"–ს, "მაგნიტი"–ს, "Daily"–ს, "იოლი"–ს, "Gvirila"–ს, სავაჭრო ობიექტებში ნებისმიერი, მინიმუმ ერთი სააქციო პროდუქტი, რომელიც აღნიშნულია სავაჭრო ნიშნის ერთ–ერთი სააქციო პროდუქტი პ.2.1–ში ჩამოთვლილიდან:

- შეიძინოთ ნებისმიერი სააქციო პროდუქტი არანაკლებ 1(ერთი) ცალის რაოდენობით, რომელიც აღნიშნულია პ.2.1–ში;
- გაიაროთ საიტზე www.marettipromo.ge მოკლე რეგისტრაცია;
- დაადასტუროთ მობილურის ნომერი, sms კოდის შეყვანის საფუძველზე საიტზე შესასვლელად (შემდგომში–sms კოდი), რომელიც მიიღეთ sms–ის მეშვეობით მობილურის ნომერზე, რომელიც მიუთითეთ მონაცემების რეგისტრაციის დროს;
- ატვირთოთ შეძენილი პროდუქტის დამადასტურებელი საღარო ქვითარი;
- ატვირთვის შემდეგ, ქვითრები გაივლიან შემოწმებას/მოდერაციას 72 საათის განმავლობაში;
- ქვითრების წარმატებული შემოწმების შემდეგ, მომხმარებელი ხდება აქციის მონაწილე და ავტომატურად იღებს მონაწილეობას პრიზების გათამაშებაში;
- ქვითრის ატვირთვის დღიური ლიმიტი– 10 ცალი დღეში.
- Maretti® შეფუთვა წონით ნეტო 70 გ უდრის 1 ქულას;
- Maretti® შეფუთვა წონით ნეტო 140 გ უდრის 2 ქულას;
- **თუ, მომხმარებელმა შეიძინა 1 (ერთ) – ზე მეტი სააქციო პროდუქტი, რომელიც მოცემულია 1 (ერთ) საღარო ქვითარში, მას მიენიჭება იმ რაოდენობის ქულა, როგორც არის აღნიშნული პ.4.1–ში.**
- **ქულების დადგენა და დათვლა ხორციელდება ქვითრის მოდერაციის და სტატუსის დადგენის შემდგომ, მანუალურად და მომხმარებელს მიენიჭება შესაბამისი ქულა, რომელიც იქნება გამოთვლილი წინამდებარე წესების საფუძველზე.**

4.2 ქვითარში ასახული ყველა მონაცემი უნდა იყოს კითხვადი. ქვითრის გამოსახულება უნდა იყოს მკაფიო და კითხვადი. ფაილის ტიპი: JPEG, JPG, არაუმეტეს 10მბ, გაფართოება არანაკლებ 200(ორასი) dpi. არ დაიშვება გამოსახულება, რომელიც არ არის ფოტოსურათი (სქრინები, ანაბეჭდი, ნახატი, კომპიუტერული გრაფიკა, ფოტომონტაჟი) ქვითრის ფოტო უნდა იყოს სრულად,ქვითრის ზედა და ქვედა მხარის ჩათვლით, ქვითრის გამოსახულება აუცილებლად უნდა იყოს ვერტიკალურად ორიენტირებული, ქვითრის ფოტო გადაღება აუცილებელია მართი კუთხით.
4.3 ატვირთული ქვითრები გაივლიან შემოწმებას/მოდერაციას გათამაშების პირობების შესაბამისად მათი ატვირთვის მომენტიდან 72 საათის განმავლობაში. ორგანიზატორს უფლება აქვს არ ჩაუთვალოს მონაწილეს ატვირთული ქვითარი ნებისმიერ დროს, თუ გამოსახულება არ იქნება კითხვადი (კერძოდ, ნაწილობრივი დაზიანებებით, არა მკაფიო) ან ყალბი, ან თუ ქვითარზე ასახული ინფორმაცია არ შეესაბამება აქციის პირობებს.

4.4 ასევე არ მიიღება ასლი ქვითრები. მეორეხარისხოვანი ქვითარი, რომელშიც არ არის მითითებული შეძენის ადგილი, თარიღი, დრო და სააქციო პროდუქტი, ასეთი ქვითრები არ მიიღება.
4.5 ერთიდაიგივე ქვითრის ფოტო ვებ–საიტზე შეიძლება ატვირთული იყოს მხოლოდ ერთხელ, აქციის ჩატარების მთელი პერიოდის განმავლობაში.

4.6 შევსებული მონაცემების რედაქტირება შეუძლებელია, მონაცემები უნდა იყოს უტყუარი. აქციის მონაწილე ვერ გახდება პრიზის მფლობელი, თუ მან რეგისტრაციისას მიაწოდა მცდარი ინფორმაცია, კერძოდ სახელი/გვარი, მობილური ტელეფონის ნომერი.
4.7 აქციის ერთ მონაწილეს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა გათამაშებაში მხოლოდ ერთი მობილურის ნომრის გამოყენებით.

4.8 ვებ–საიტზე წარმატებული რეგისტრაციის დადასტურების შემდეგ, აქციის მონაწილეს ენიჭება უნიკალური ნომერი, რომელიც შეესაბამება აქციის მონაწილის მობილურ ტელეფონის ნომერს და მას ეძლევა წვდომა „პირად სივრცეში", რომელიც არის აქციის მონაწილის ვირტუალური ანგარიში. „პირადი სივრცე", შეიცავს და ინახავს ინფორმაციას აქციის ფარგლებში, რეგისტრირებული ქვითრების, მიღებული გარანტირებული პრიზების, მოგებული პრიზების დასახელებისა და რაოდენობის შესახებ.

4.9 არასწორად ითვლება, არ ჩაითვლება და არ რეგისტრირდება შემდეგი ქვითრები:
- ქვითრები, რომლებიც არ შეიცავს პროდუქციის დასახელებას, რომელიც მითითებულია 2.1 პუნქტში.

- ქვითრები, რომლებიც ატვირთულია აქციაში მონაწილეობის მიღების პერიოდის დაწყებამდე (2026 წლის 01 ივნისამდე, თბილისის დროით 00:00 საათამდე);
- ქვითრები, რომლებიც ატვირთულია აქციაში მონაწილეობის მიღების პერიოდის დასრულებისას (2026 წლის 31 ივლისის შემდეგ, თბილისის დროით 00:00 საათამდე);

4.10 მიმდინარე კვირის განმავლობაში ატვირთული ქვითრები იღებენ მონაწილეობას მიმდინარე კვირის ყოველკვირეული პრიზის გათამაშებაში. ყოველკვირეული გათამაშების ბოლოს, ქვითრები ნულდება და არ მონაწილეობს მომდევნო კვირის გათამაშებაში, მაგრამ იღებენ მონაწილეობას აქციის ბოლოს, მთავარი პრიზების გათამაშებაში.

ყველა ატვირთული ქვითარი გაივლის მოდერაციას 72 საათის განმავლობაში, შემოწმდება სააქციო პროდუქტი, რომელიც აღნიშნულია პ.2.1.-ში და პირად სივრცეში აისახება მოდერაციის სტატუსი-მოდერაციაზე, დადასტურებული, უარყოფილი.

5. საპრიზო ფონდის შემადგენლობა და ოდენობა:
აქციის საპრიზო ფონდი ფორმდება აქციის ორგანიზატორის/დამკვეთის ფულადი სახსრებითა და შედგება შემდეგი პრიზებისგან:

ყოველკვირეული პრიზები:
- City Mall-ის 50 ლარიანი ვაუჩერი- 90 ცალი აქციის მთელი პერიოდის განმავლობაში;

1 გათამაშება	09.06.2026
2 გათამაშება	16.06.2026
3 გათამაშება	23.06.2026
4 გათამაშება	30.06.2026
5 გათამაშება	07.07.2026
6 გათამაშება	14.07.2026
7 გათამაშება	21.07.2026
8 გათამაშება	28.07.2026
9 გათამაშება	04.08.2026

მთავარი პრიზები:

- იტალიაში მოგზაურობის 7000 ლარიანი ვაუჩერი – 1 ცალი აქციის ბოლოს;
- სკუტერი VESPA SXL 150CC – 1 ცალი აქციის ბოლოს;
- Iphone 17 pro 256 gb – 3 ცალი(1 ცალი ივნისის ბოლოს, 2 ცალი ივლისის ბოლოს;

6.საპრიზო ფონდის განაწილების წესი, მათ შორის აქციის დასაჩუქრებული პირების განსაზღვრის წესები და ინფორმირების მეთოდი:

6.1 ყოველკვირეული პრიზების მფლობელები განისაზღვრებიან ყოველი სააქციო კვირის (სულ 9 კვირა) დასრულების შემდეგ, 2 (ორ) სამუშაო დღეში, იმ მონაწილეთა შორის, რომლებსაც აქვთ მიმდინარე კვირაში ყველაზე მეტი წარმატებულად ატვირთული ქვითარი და დაგროვილი ყველაზე მეტი ქულა.

6.2 მთავარი პრიზების მფლობელები განისაზღვრებიან შემდეგნაირად:
- ივნისის ბოლოს იმ მონაწილეთა შორის, რომლებსაც აქვთ 01 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით წარმატებულად ატვირთული და დადასტურებული ქვითარი და დაგროვილი ყველაზე მეტი ქულა, გახდება Iphone 17 pro 256 gb – 1 ცალის გამარჯვებული;

- ივლისის ბოლოს იმ მონაწილეთა შორის,რომლებსაც აქვთ 01 ივნისიდან 31 ივლისის ჩათვლით წარმატებულად ატვირთული და დადასტურებული ქვითარი და დაგროვილი ყველაზე მეტი ქულა, გახდებიან შემდეგი პრიზების გამარჯვებულები:
- 1 ადგილი-იტალიაში მოგზაურობის 7000 ლარიანი ვაუჩერი – 1 ცალი;
- 2 ადგილი-სკუტერი VESPA SXL 150CC – 1 ცალი;
- 3 ადგილი-Iphone 17 pro 256 gb – 1 ცალი;
- 4 ადგილი-Iphone 17 pro 256 gb – 1 ცალი;

6.3 პრიზების მფლობელების გამოვლენის შემდეგ, 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, აქციის ორგანიზატორის მიერ ხორციელდება აქციის გამარჯვებულების შეტყობინება სატელეფონო ზარის მეშვეობით ფიქსური კავშირგაბმულობის ოპერატორის საბონენტო ნომერზე, რომლიდანაც მონაწილე იყო დარეგისტრირებული. გამარჯვებულების გამოვლენის მომენტიდან, იმ შემთხვევაში თუ 48 (ორმოცდარვა) საათის განმავლობაში, აქციის ორგანიზატორი ვერ უკავშირდება გამარჯვებულებს, უკანასკნელებს ერთმევათ უფლება შესაბამის პრიზზე და აქციის ორგანიზატორი უკავშირდება სარეზერვო გამარჯვებულს, იმისთვის, რომ გადასცეს პრიზი. იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზატორი აღნიშნული ვადის განმავლობაში ვერ უკავშირდება სარეზერვო გამარჯვებულს, ასეთ გამარჯვებულს ერთმევა უფლება შესაბამისი პრიზის მიღებაზე და აქციის ორგანიზატორს/დამკვეთს აქვს უფლება გამოიყენოს შესაბამისი პრიზი თავისი შეხედულებისამებრ.
6.4 აქციის მთელი პერიოდის განმავლობაში აქციის ერთ მონაწილეს შეუძლია მოიგოს არაუმეტეს 1 (ერთი) ყოველკვირეული და არაუმეტეს 1 (ერთი) მთავარი პრიზისა.

6.5 ქვითრის წარმატებული შემოწმების/მოდერაციის შემდეგ, მონაწილე და მისი ქულების რაოდენობა ავტომატურად აისახება ვებ–საიტზე.

6.6 აქციის გამარჯვებულების სრული სია (ნაწილობრივ დაფარული მობილურის ნომრები) გამოვლენისთანავე განთავსდება ვებ–საიტზე www.marettipromo.ge;

7.პრიზების გადაცემის წესი და ვადა:

7.1 დასაჩუქრებულების გამოვლენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, საკონტაქტო ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, კერძოდ კი, დასაჩუქრებულის პერსონალური მონაცემების, სახელი და გვარი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომრის ჩათვლით, სრული საცხოვრებელი ადგილის, ასაკის და ასევე აქციასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, დაუკავშირდებიან აქციის ორგანიზატორის ოპერატორები.

7.2 ფიზიკურად მთავარი პრიზები გაიცემა აქციის ორგანიზატორის მიერ აქციის ორგანიზატორის ოფისში, ქ.თბილისი, მ.კოსტავას #47, პრიზის მიღებისას აუცილებელია პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედნის წარდგენა, წინააღმდეგ შემთხვევაში, პრიზის გაცემაზე ნათქვამი იქნება უარი. პრიზის მიღებას გამარჯვებული ადასტურებს შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერით.

7.3 იმ შემთხვევაში თუ აქციის ორგანიზატორი გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ, 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, საკონტაქტო ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, ვერ უკავშირდება გამარჯვებულს, ასეთ პირს ერთმევა უფლება შესაბამისი პრიზის მიღებაზე და აქციის ორგანიზატორს/დამკვეთს აქვს უფლება გამოიყენოს შესაბამისი პრიზი თავისი შეხედულებისამებრ.
7.4 წესებით გათვალისწინებული აქციის პირობების შეუსრულებლობისას ან პრიზების მიღების ვადების დარღვევისას, შესაძლოა პირს უარი ეთქვას შესაბამისი პრიზის გაცემაზე.

7.5 არასრულწლოვანი აქციის გამარჯვებულთა სახელით პრიზის მიღებისათვის საჭირო მოქმედებებს ასრულებენ მათი კანონიერი წარმომადგენლები, ვისი უფლებამოსილებანი სათანადო წესით უნდა იყოს დადასტურებული აქციის ორგანიზატორის წინაშე.

7.6 პრიზები არ ექვემდებარება გადაცემას აქციის მონაწილეებისათვის სხვა წესით, ვიდრე ეს გათვალისწინებულია წინამდებარე წესებით, მათ შორის არ ექვემდებარება გადაცემას ფულად ექვივალენტში. აქციის მონაწილის მხრიდან პრიზის მიღებაზე უარის თქმის, აქციის მონაწილის მიერ წინამდებარე წესების მოთხოვნების შეუსრულებლობის ან დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით პრიზის მიუღებლობის შემთხვევაში, აქციის მონაწილე კარგავს უფლებას პრიზის მიღებაზე და აქციის გამარჯვებულის კუთვნილი პრიზი რჩება აქციის ორგანიზატორთან/დამკვეთთან. აქციის გამარჯვებულებს არ აქვთ უფლება განმეორებით მოითხოვონ პრიზი, ფულადი კომპენსაცია მათთვის არ გადაიხდება.

8.აქციის ზოგადი პირობები:

8.1 აქციაში მონაწილეობით აქციის მონაწილე ადასტურებს წინამდებარე წესების გაცნობას და აცხადებს სრულ თანხმობას ამ წესების შესრულებასთან დაკავშირებით და საკუთარ თავზე იღებს ვალდებულებას მათი ყველა პირობისა და მოთხოვნის დაცვაზე. აქციის მონაწილე ასევე ადასტურებს თანხმობას მასზედ, რომ აქციაში მონაწილეობისათვის მის მიერ აქციის ორგანიზატორისთვის/დამკვეთისთვის გაზიარებული პერსონალური მონაცემები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს აქციის ორგანიზატორის/დამკვეთის და/ან ორგანიზატორის/დამკვეთის ან მათთან აფილირებული/დაკავშირებული პირების მარკეტინგული აქტივობების ფარგლებში. აქციის ორგანიზატორს/დამკვეთს უფლება აქვს განახორციელოს პრიზის გადაცემის პროცესის ფოტო გადაღება და მის ონლაინ/სოციალურ პლატფორმებზე დასაჩუქრებული პირის ფოტოს გამოქვეყნება.
აქციის მონაწილე ადასტურებს, რომ არის ქმედუნარიანი, მოწოდებული აქვს საკუთარი და უტყუარი მონაცემები და თანხმობას აცხადებს აქციის ორგანიზატორისგან/დამკვეთისგან

ინფორმაციის მიღებაზე სარეკლამო აქციების, პრიზების, პროდუქციის ნიმუშების და სხვა წინადადების შესახებ.
პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკა აქციის მონაწილის თანხმობა აქციის ორგანიზატორს/დამკვეთს და სხვა უფლებამოსილ პირებს, უფლებას აძლევს განახორციელონ აქციის მონაწილის მიერ ანკეტაში მითითებული მონაცემების შეგროვება, შენახვა, დამაშუვება და გამოყენება, აქციის ორგანიზატორის, დამკვეთის და/ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ აქციის მონაწილეებთან კონტაქტების განხორციელებისთვის; პრიზების გადაცემისათვის, აქციის ორგანიზატორის სარეკლამო აქციებთან დაკავშირებით, მათ შორის ელექტროკავშირის ქსელების მეშვეობით, SMS-შეტყობინებების და ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინებების გაგზავნის ჩათვლით. აქციის ორგანიზატორმა/დამკვეთმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა ამ მონაცემების არასანქცირებული გავრცელებისგან დაცვისათვის. თანხმობა ძალაშია აქციის მონაწილის მიერ სარეგისტრაციო მონაცემების გადაცემის მომენტიდან, აქციის მონაწილის მიერ მათი გამოხმობის მომენტამდე. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება მოხდება არსებული კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში 3 წლის ვადით, ამ ვადაში პირს/მონაწილეს უფლება აქვს მოითხოვოს მისი პერსონალური მონაცემების კორექტირება, შეცვლა ან წაშლა.

8.2 აქციის მონაწილეს უფლება აქვს გამოიხმოს თანხმობა, ხელმოწერილი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით აქციის ორგანიზატორის მისამართზე: საქართველო, თბილისი, მ.კოსტავას #47, შეტყობინებაში თავისი სახელის, გვარის, დაბადების თარიღისა და მისამართის მითითებით, რომლებიც აქციის მონაწილის მიერ აღნიშნული იყო სარეგისტრაციო მონაცემებში, აქციაში მონაწილეობის მიღებისათვის.
8.3 თანხმობის გამოხმობის შესახებ შეტყობინების მიღების შემთხვევაში, აქციის ორგანიზატორი/დამკვეთი და მისი უფლებამოსილი პირები წყვეტენ აქციის ამ მონაწილის პერსონალური მონაცემების დამუშავებას და ანადგურებენ მის პერსონალურ მონაცემებს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, გამოხმობის შემოსვლის მომენტიდან.

8.4 აქციის ორგანიზატორი/დამკვეთი არ აგებს პასუხს აქციის ჩატარებასთან დაკავშირებული მოქმედების შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეული იყო აქციის მონაწილის პერსონალური მონაცემების განადგურების გამო, აქციის მონაწილის მიერ მათი გამოხმობის შედეგად.

8.5 აქციის ჩატარების დროს აქციის მონაწილეების მიერ მიღებულ პრიზებზე დადგენილი სახელმწიფო გადასახადების გადახდა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ორგანიზატორის/დამკვეთის მიერ.

8.6 პრეტენზია/შეკითხვები განიხილება მარკეტინგული აქციის მიმდინარეობისას და მისი დასრულებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ.კოსტავას #47.

პრეტენზიის განხილვის წესი: პრეტენზია წარმოდგენილ უნდა იქნას წერილობითი ფორმით კომპანიის შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ.კოსტავას #47. პრეტენზიის წერილში, პრეტენზიის არსთან ერთად, წარმომდგენმა უნდა მიუთითოს მისი საცხოვრებელი მისამართი, სადაც სურს რომ მიიღოს კომპანიის პასუხი (გადაწყვეტილება) მის მიერ წარდგენილ პრეტენზიასთან დაკავშირებით. პრეტენზიების განხილვა მოხდება კომპანიის ადმინისტრაციის (იურიდიული, ფინანსური და აღმასრულებელი მენეჯმენტის დანაყოფების) მიერ, პრეტენზიის წარდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. პრეტენზიის წარმომდგენს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება, პრეტენზიის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, პრეტენზიის წარმდგენის საცხოვრებელ მისამართზე საპასუხო წერილის გაგზავნის გზით.

8.7 აქციის დამკვეთსა და ორგანიზატორს უფლება აქვთ შეცვალონ ან დაამატონ აღნიშნულ წესებში ინფორმაცია, მონაწილეთა წინასწარ შეთანხმებისა და შეტყობინების გარეშე. განახლებული ინფორმაცია აიტვირთება ვებ-საიტზე: www.marettipromo.ge

8.8 აქციის დამკვეთი და ორგანიზატორი პასუხს არ აგებს აქციის გადადებასა და ფორსმაჟორული გარემოებებით გამოწვეულ სხვა ცვლილებებზე ან / და მისი კომპეტენციის მიღმა.